

ანა ბაგრატიონი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მაგისტრანტი

Anna Bagrationi

Master student of Shota Rustaveli state university

ხალხური მედიცინის ისტორიიდან აჭარაში

FROM THE HISTORY OF FOLK MEDICINE IN ADJARA

აბსტრაქტი - ნაშრომი ეხება აჭარაში ხალხური მედიცინის ისტორიის წარმოჩენასა და მის მნიშვნელობას ზოგადად, ხალხური მედიცინის შესწავლის საქმეში. წერილობითი წყაროების, ეთნოლოგიური მონაცემების, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისა და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე შესწავლილია ქართული ტრადიციული სამედიცინო ყოფის ცალკეული საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია აჭარაში გავრცელებულ დაავადებებსა და მკურნალობის მეთოდებზე, წარმოდგენილია საგვარეულოები, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებულები და აგრეთვე გაანალიზებულია მაგიის მნიშვნელობა ხალხურ მედიცინაში, კვლევის პრაქტიკული ნაწილი ეხება დღევანდელ აჭარაში შემონახული მკურნალობის მეთოდების ანალიზსა და მნიშვნელობას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტრადიციული სამედიცინო ცოდნა და მკურნალობის მეთოდები აჭარაში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და გააჩნია თავისი განვითარების ეტაპები, მისი ისტორია იწყება წარმართული პერიოდიდან და დღემდე მოდის, სწორედ ამის გამო მას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საველე მუშაობის საფუძველზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხალხური მკურნალობის მეთოდები დღემდე არის შემორჩენილი რეგიონში, თუმცა ის მრავალფეროვანი სამკურნალო საშუალებები, რომლებსაც ტრადიციულად იყენებდნენ მივიწყებულია და მხოლოდ ერთეულებთანაა შემონახული.

ხალხური მედიცინის საფუძვლიანი შესწავლა და მისი მიღწევების გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის ერის მდიდარი ისტორიული წარსულისა და კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: ხალხური მედიცინა, დაავადებები, მკურნალობის მეთოდები, სამკურნალო მაგია

Abstract - Article deals with the history of folk medicine and its importance in studying of folk medicine in Adjara.

Individual issues of Georgian traditional medicine are studied on the basis of written and empirical sources, special attention is paid to the diseases spread in Adjara and the treatment methods, also there are presented families who used to make the remedies. As well as, there is analyzed the importance of magic in folk medicine In the paper. The practical part of the research concerns the analysis and importance of the treatment methods preserved in Adjara up to today.

The research revealed that traditional medical knowledge and methods of treatment originated from ancient times in Adjara and has its development stages, Its history starts from the pagan period and still exists, due to which he was granted the status of intangible cultural heritage.

Based on empirical work, we found out that folk treatment methods still exist in the region. However, variety of traditional medicines are forgotten and are preserved only by individuals.

A complete study of folk medicine and its achievements is vitally important. Since it is one of the richest historical past and culture of the nation.

Key words: Folk medicine, diseases, treatment methods, healing magic

ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები გააჩნია. საქართველოში მედიცინა ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე იყო განვითარებული და ჩვენს ქვეყანაში მრავალფეროვანი სამედიცინო კულტურა ჩამოყალიბდა. ქართველი ერის ისტორიული განვითარების სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა ქართული ტრადიციული მედიცინის ისტორიის გარეშე.

ქართული ტრადიციული სამკურნალო მეთოდების სიმრავლეს საქართველოში ხელს უწყობდა მდიდარი ფლორა, ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად ამ მხრივ, აჭარას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ხალხური მედიცინის ტრადიციები აჭარაში წარმართული პერიოდიდან არსებობდა, რასაც ადასტურებს ციური სხეულების სამკურნალო ძალის რწმენა. აჭარაში ავადობის პერიოდიზაცია და მკურნალობის მეთოდები ხშირად მთვარის

მაგიური ძალას უკავშირდებოდა. მთვარე აჭარაში მცხოვრებთათვის საორიენტაციო იყო, თუ როდის იყო მკურნალობისათვის ხელსაყრელი პერიოდი. ასევე, მთვარე ითვლებოდა გარკვეული ტკივილების გამომწვევიად. მაგალითად, სწამდათ, რომ მთვარის შუქით შეიძლებოდა ბავშვის "დაქელვა" (დასუსტება). ბავშვის სისუსტეს ხშირად მთვარეს მიაწერდნენ, სისუსტის გამოვლინებები იყო: ბავშვის უმადობა და კუჭ-ნაწალავის მოქმედების არევა (მინდაძე, 2013:36).

საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, თავისი ისტორიით, აჭარა სპეციფიკური მხარეა და გასაკვირიც არ არის, რომ წერილობითი წყაროები ნაკლებადაა შემორჩენილი, ოსმალთა საუკუნოვანმა ბატონობამ გაანადგურა მრავალი წერილობითი წყარო, ამასთანავე, განადგურდა უამრავი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, რომელთა როლი ხალხურ მკურნალობაში განუზომელი იყო. ამავე დროს, ყველაზე რთული ადგილობრივებისთვის აღმოჩნდა კულტურული ასიმილაცია. ოსმალები ნერგავდნენ და ავრცელებდნენ საკუთარ წეს-ჩვეულებებს, რომელიც სამედიცინო პრაქტიკასაც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული როლი შეასრულა ხალხურ სამედიცინო კულტურაში, აჭარის მოსახლეობამ დღემდე შემოინახა წინაპართა წესები და ტრადიციები მკურნალობისას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხალხური სამედიცინო კულტურის შესახებ წერილობითი ცნობები საკმაოდ მწირია, თუმცა გასულ საუკუნეში აღმოჩენილი მასალებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება აჭარაში ხალხური მედიცინის განვითარების შესახებ. მიუხედავად წერილობითი წყაროების სიმცირისა, ძველი პერიოდის მედიცინის შესახებ ცნობებს ძირითადად არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვეცნობით, მაგ: ციხისძირის სამაროვანში აღმოჩნდა მინის კოლბი, რომელსაც ახ. წ. IV საუკუნით ათარიღებენ, იგი ერთ-ერთი უძველესი ექსპონატია საქართველოში აღმოჩენილი, მკვლევარები მის სამკურნალო დანიშნულებაზე მიუთითებენ.

IX საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფართო გაიშალა სამონასტრო ცხოვრება. ტაო-კლარჯეთში არსებული სავანეებში განვითარებული იყო სამკურნალო საქმე, რაზეც ცნობებს გიორგი მერჩულის თხზულება - "ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" გვაწვდის. გრიგოლ ხანძთელი თავისი მოწაფეებთან ერთად საექიმო საქმიანობას ეწეოდა. ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო შემდეგი სახის დაავადებები: ეპილეფსია, დამბლადაცემული, ამნეზია, ქირურგიულ დაავადებები და სხვ. (მერჩულე, 1954:318-319).

გარდა ტაო-კლარჯეთის მონასტრებისა, სამკურნალო საქმიანობას ეწეოდა, ასევე, სხალთის, გვარას, სამების, ხინოს და სხვა საეკლესიო ცენტრები.

აჭარა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და მცენარეული რესურსებით კარგ პირობებს ქმნიდა დაავადებათა მკურნალობისათვის, თუმცა მისი მდებარეობა ამავე დროს საფუძველი იყო სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებისათვის. აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობთან, რომელიც მალარიის გავრცელების ზონა იყო. როგორც ეთნოლოგი თედო სახოკია გადმოგვცემს, ზოგიერთ სოფელში, შუახევსა და ხიჭაურში, რომლებიც მეტად ჩავარდნილ ადგილებში მდებარეობენ, კლდეები აკრავთ ირგვლივ და ჰაერის მოძრაობაც შენელებულია, გავრცელებულია ჩიყვის დაავადება. ზამთრობით ხშირია ფილტვის ანთება არა მარტო ზემოთ დასახელებულ სოფლებში, არამედ თითქმის მთელ ზემო აჭარაში, თუკი არ იმკურნალა ავადმყოფმა იგი ფატალურად სრულდება, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებულია ადამიანის იმუნიტეტზე (სახოკია, 1985:246). ვახუშტი ბაგრატიონი ჩიყვის გამომწვევად ჭის წყალს მიიჩნევს, რომელიც ინტენსიურად გამოიყენებოდა სამელად, უმარილო წყალია კი ჩიყვის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია (მინდაძე, 2013:56).

საინტერესოდ საუბრობს მალარიის შესახებ მკვლევარი ნუნუ მინდაძე, მისი თქმით, მალარიის, რომელიც გასულ საუკუნემდეც იყო გავრცელებული, ხელს უწყობდა ჭაობები, მისი ორთქლი და ცუდი სანიტარული მდგომარეობა. მალარიას ასევე ცხოხსაც ეძახიან. ეს ტერმინი შემორჩენილია აჭარულ დიალექტში. მალარიისგან დასაცავად ზაფხულობით მთაში მიემგზავრებოდნენ, ამიტომაც აგებდნენ მთებში სახლებს, ძირითადად ხისგან ზომებზე აგებდნენ, ასევე კვების რაციონში წიწაკასა და ნივრის გამოყენებაც მალარიის პრევენციას ემსახურებოდა (მინდაძე, 2013:67).

საინტერესო ცნობები არის დაცული მცირე კარაბადინში. შემონახულია ინფორმაცია ქართული მკურნალობის მეთოდების შესახებ აჭარაში. მაგალითად, თავის ტკივილის მოხსნისათვის გამოიყენებოდა ჭინჭრის ნახარში ძმარში ან ღვინოში, რომელსაც შუბლზე კომპრესის სახით იკეთებდნენ. ცხვირიდან სისხლის შესაჩერებლად ჯაოზის (ნიგოზი, კაკალი, აზიაში გავრცელებული ხე) ქინძის და ძმრის საფენს შუბლზე და მაჯებზე აკრავდნენ, ასევე, ჭინჭარსაც იღებდნენ ნესტოში, რათა სისხლდენა შეეჩერებინათ. თვალის დაზნელებისთვის აუღუღარ გალესილ თაფლს იწვეთებდნენ თვალში (სურმანიძე, 1974:31), საინტერესოა, რომ ქინძს გააჩნია სამკურნალო თვისებები, იგი შეიცავს ეთერზეთებს, ვიტამინებს, რომელიც ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას (ვარშანიძე, 2013:171). ხმის ჩახლეჩვისას გალავებული კვერცხის ნაჭუქს, ლაჟვარდს, აბრეშუმის ჭიას ნაყავდნენ და სვამდნენ, დღემდე გამოიყენება, ასევე, კვერცხის გულის უმაღლესად დადაყლაპვა ხმის აღდგენისთვის (სურმანიძე, 1974:38).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთ-ერთ უძველეს სამკურნალო საშუალებას ღვინო წარმოადგენდა. ღვინო გამოიყენებოდა უმადობის, სისუსტის მკურნალობისას. მას ჰქონდა როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო დანიშნულება (ბურდული, 2010:142).

აჭარაში გავრცელებული დაავადებებზე ცნობები მოგვეპოვება აბდულ მიქელაძის წერილებში. იგი მოიხსენიებს ისეთ გადამდებ დაავადებებს, როგორცაა: გრიპი, ქუნთრუშა, დიფტერია, ქოლერა, შავი ჭირი, რომლებსაც ხშირად ეწირებოდნენ ადამიანები უექიმობის, საავადმყოფოების არარსებობას გამო და ა.შ. აბდულ მიქელაძის წერილში ვკითხულობთ: "ერთი კვირაა, რაც გაჩნდა რაღაც გადამდები დაავადება, ეს ავადმყოფობა ნამეტურ ყმაწვილებს დაერია..... თუ სასიკვდილო არის 7 დღეზე კვდება". მოსახლეობას აწუხებდა გრიპის ეპიდემიაც, რომლის მასიურ გავრცელებას ხელს უწყობს, როგორც უექიმობა, უწამლობა ასევე სიღარიბე“ (მიქელაძე, 1991:20-21).

მკურნალობა, ძირითადად, კომპლექსური ხასიათის იყო და ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებთან ერთად, სხვადასხვა სახის მაგიურ-რელიგიურ საშუალებებსაც იყენებდნენ. ხალხური მკურნალობის წესებში დიდი ადგილი უჭირავს შელოცვებს. შელოცვები სიტყვის მაგიური ძალის, ადამიანებზე, საგნებსა და მოვლენებზე სიტყვის მეშვეობით ზემოქმედების შესაძლებლობის რწმენას ეფუძნება. აჭარაში მრავალი სახის სამკურნალო შელოცვაა დაფიქსირებული. მაგიური შელოცვების მეშვეობით მკურნალობდნენ აჭარაში „მატაურას“ (ქუნთრუშა), „წმინდანს“//“გოჟოს“ (რაქიტი), შაკიკს, სურდოს, „ყიყვს“ (ჩიყვი), „საყვითლოს“ (ბოტკინი) და სხვ.

ავ სულელებს აჭარაში ეძახდნენ უჟმურს, რომელიც ძილის დროს ადამიანს სულს უხუთავდა. იგი უმეტესად ბავშვებს ემართებოდათ. უჟმური აჰყვავ, ხშირად გაიგონებდით იმ ბავშვზე, რომელიც ჭირვეულობდა, უღონოდ იყო, სიცხე ქონდა. მას შეიძლება კრუნჩხვა ან ბნედა ჰქონოდა. უჟმური აჰყვებოდათ ხშირად სიბნელეში გარეთ სიარულისას. თუკი ჩვილბავშვიან ოჯახში ღამით მამაკაცი ესტუმრებოდათ, ბავშვი მოუსვენარი ხდებოდა და ტირილს იწყებდა (მინდაძე, 2013:127). ხალხური წარმოდგენით უჟმურის მოქმედების დრო საღამო, მზის ჩასვლის შემდგომი პერიოდი იყო. განსაკუთრებით ჭარბობდა ნესტიან ადგილებში. უჟმური რომ ბავშვს აყვებოდა, მას შელოცვით მკურნალობდნენ. უჟმურისაგან ჩვილი ბავშვის დასაცავად აკვანზე ალიყურს ჰკიდებდნენ.

დიდაჭარაში ასე მკურნალობდნენ შაკიკს:

„მზე ამოდიოდა, შაკიკი მიდიოდა, ოჰ, შვილო, ოჰ, ძირო, რას ტირი, რას ჩივი! ჩეირბინე, ამეიტანე სამყურაი ბალახი, გედეისვი, გადმეისვი, აჰა, ღმერთი ერთია, მომრჩენალი ღმერთია!“ (ხაჭაპურიძე, შავიანიძე, 2011:307).

შელოცვასთან ერთად მიმართავდნენ სხვადასხვა საწესო ქმედებებს ე.წ. მაგიური საგნებით (შავტარიანი დანა, ნახშირი, მაკრატელი, კვირისტავი და სხვ.), იცოდნენ ნაცრის, ქარვის წყალში გალესვა. ახალშობილის „თვალის წაკვირისაგან“ დასაცავად აკვანზე სათვალო მძივს, სათვალისა, ჩანჩხურას შეუბამდნენ და სხვ. დაავადებათა მკურნალობისას იყენებდნენ თაფლს, თოფის წამალს, ალოეს, თაფლისა და შავი ღვინის ნაზავს და ა.შ (კაშია, ხაჭაპურიძე, 2009).

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ინფექციური დაავადებების ე.წ. ბატონების მკურნალობის წესები. ბატონებს მოსახადსაც ეძახდნენ აჭარაში. აქ ბატონები ადამიანის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი და იტყოდნენ “ბატონები გვესტუმრაო”, „ბატონები მობრძანდაო”. ბატონებიანს უფროხილდებოდნენ და განსაკუთრებულად ემსახურებოდნენ. ერიდებოდნენ მათ “გაბრაზებას”, რომ გართულება არ მოჰყოლოდა.

აჭარის სოფლებში დაავადებებს მკურნალობდნენ ხალხური მკურნალები, რომლებსაც ჰქონდათ მკურნალობის გარკვეული გამოცდილება და პრაქტიკა. ძალზე ხშირი იყო სამკურნალო ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტები, რამაც საფუძველი ჩაუყარა საოჯახო-საგვარეულო მედიცინის ჩამოყალიბების ტენდენციებს. აჭარაში ცნობილი იყო მკურნალთა საგვარეულოები: ხაბაზები, თურმანიძეები, გორგილაძეები, მიქელაძეები, გეგიძეები, დუაძეები, კახაძეები, ლეონიძეები.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ბებიაქალის ინსტიტუტი. ბებიაქალს აქ ებეს//წენეს ეძახდნენ. ებე არა მხოლოდ ამშობიარებდა ქალს, არამედ შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში უვლიდა მელოგინესა და ახალშობილს. აჭარის ყველა სოფელს ყავდა თავისი ებე და ეს ძალზე საპატიო საქმიანობად ითვლებოდა.

ამრიგად არქეოლოგიური, ეთნოლოგიური წერილობით წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ:

1. ხალხურ მედიცინას აჭარაში უხსოვარი დროიდან ჩაეყარა საფუძველი, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები, ეთნოგრაფიული მასალები. მასალების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკურნალობის მეთოდები და წესები ეპოქის შესაბამისად იყო განვითარებული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა დაავადებების არსებობამ გამოიწვია ის, რომ აუცილებელი გახდა მკურნალობის ნორმების დანერგვა. „სახლის პირობებში“ მკურნალობა იყო ერთადერთი საშუალება არსებობისათვის. თუმცა ბევრი დაავადება არ ექვემდებარებოდა ხალხური მედიცინით მკურნალობის წესებს, რის გამოც ხშირი იყო სიკვდილიანობა. მკურნალობისას იყენებდნენ სამკურნალო მცენარეებს, ნატუროპათიულ საშუალებებს, ორგანულ ნივთიერებებს, თაფლსა და მის პროდუქტებს, მინერალურ წყლებს და სხვ.

2. აჭარის გეოგრაფული გარემო საფუძველი იყო სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებისათვის. XX საუკუნეში აჭარაში გავრცელებული ყოფილა გადამდები დაავადებები, რაც, გარდა ბუნებრივი ფაქტორებისა, გამოწვეული იყო, ასევე, ცუდი სანიტარული მდგომარეობის, ექიმების არ არსებობის გამო. განსაკუთრებით, მაღალმთიან აჭარაში, სადაც არ არსებობდა პირობები დაავადებათა პრევენციისთვის.

3. აჭარის მდიდარი ფლორა განაპირობებდა სამკურნალო ტრადიციების, მკურნალობის მეთოდებისა და საშუალებების მრავალფეროვნებას, სწორედ მდიდარი ფლორის წყალობით დღემდე არის შემორჩენილი მკურნალობის მეთოდები და ხერხები, რაც დადასტურდა გამოკითხვების საფუძველზე.

4. ხალხური ტრადიციული მკურნალობის მეთოდებს კვლავ იყენებს აჭარის მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი. თუმცა, აშკარაა ხალხური მედიცინის ტრადიციების მივიწყების ტენდენციები, ამიტომაც ამ მიმართულებით კვლევა მეტად მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდული მ., ქართული ტრადიციული სამედიცინო კულტურა, გამომც. ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, 2010
2. ვარშანიძე ნ., აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013
3. კაშია რ., ხაჭაპურიძე რ., „ტრადიციული მედიცინის საკითხები (სამკურნალო შელოცვები)“, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2009
4. მერჩულე გ., „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რედ., პ. ინგოროყვა, თბ., 1954
5. მინდაძე ნ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013
6. მიქელაძე ა., წერილები აჭარიდან, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 1991
7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები - აჭარა, ტომი II, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009
8. სახოკია თ., მოგზაურობანი - გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, გამომც. „საბჭოთა აჭარა“ თბ., 1985
9. სურმანიძე რ., მცირე კარაბადინი, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1974
10. ხაჭაპურიძე, შავიანიძე, „დაავადებები და მათი მკურნალობის ხალხური საშუალებები (ზემო აჭარის მასალების მიხედვით)“, ქართველური მემკვიდრეობა, XV, 2011